აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება №267/ძ

ქ. თბილისი „21“ 06 2019წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11) ფარგლებში სტიპენდიების მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

„დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #12 დადგენილებისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობის“ პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11) ფარგლებში სტიპენდიის მინიჭების მიზნით კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
2. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ამ ბრძანების გამოქვეყნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუკგვერდზე.
3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

საქართველო, თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 68 ტელ: (032) 2-95-07-52.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონით დადგენილი წესით სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ნინო ლობჟანიძის სამსახურებრივი ბარათი (#800382, 19/06/2019წ.).

მინისტრი **როლანდ ნიჟარაძე**